

ფინანსური ანგარიშგება

01.01.2024 -31.12.2024

აღფენ ინშაათ ვე თიჯარეთ საქართველო
ფილიალი

ბათუმი

09.28.2025

A handwritten signature in blue ink, consisting of a series of loops and a long horizontal stroke, positioned to the right of the date.

აღფენ ინშაათ ვე თიჯარეთ საქართველო 445638436 რეგისტრირებულია საქართველოში 21,04,2022 წელს რეგისტრაციის მისამართი ბათუმი მესხეთის ქუჩა N6. კომპანიის დამფუძნებელი და 100 % წილის მფლობელია შპს აღფენ ინშაათ ვე თიჯარეთ, 0051007629500016, 434513-0 /თურქეთი/. კომპანიის დირექტორია საბაჰათთინ ალი ერგინ, 18221133506, U22100002 /თურქეთი/.

ფილიალის საქმიანობაა სამშენებლო სამონტაჟო მომსახურეობა, იგი ხელშეკრულების საფუძველზე ასრულებს გოგინაური ჰესის სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოებს შუახევის რაიონი სოფელ გოგინაურში.

კომპანია ფინანსურ აღრიცხვას აწარმოებს მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად და წარდგენის ვალუტა არის ქართული ლარი.

შესავალი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება კომპანიამ შეადგინა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობის მონაცემებზე დაყრდნობით, აღსანიშნავია რომ ფილიალი დაარსდა უშუალოდ გოგინაური ჰესის სამშენებლო სამუშაოების შესასრულებლად და მას სხვა დამატებითი საქმიანობა 2024 წლის ანგარიშგების თარიღისათვის არ გააჩნია. ანგარიშგების წარდგენის მომენტისათვის კომპანიის წინაშე დგას რთული ფინანსური კრიზისი, ერიცხება როგორც საბიუჯეტო ასევე ცალკეული კერძო მომწოდებლის მიმართ დავალიანება.


ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. წარმოდგენილ 2024 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება შეადგენს 1.906.000 ლარს დარიცხული ამორტიზაციის გათვალისწინებით. რაც შედეგა დროებითი საცხოვრებელი ნაგებობის, მძიმე ტექნიკის, საქმიანობაში გამოსაყენებელი ინვენტარის, ავეჯისა და კომპიუტერული მოწყობილობებისაგან.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი დაზიანების, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში მისგან ეკონომიკური სარგებელი. ძირითადი საშუალების დაზიანების ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა მიწოდებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა და ზარალში.

1. მარაგები

კომპანია მარაგებში, დაუმთავრებელი მშენებლობის სახით აღრიცხავს სამშენებლო და დამხმარე მასალებს. პროექტით გათვალისწინებული მასალების შევსებას ახორციელებს ადგილობრივ ბაზარზე არსებული მომწოდებლებისა და ნაწილობრივ იმპორტირების გზით.



სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ფილიალს მიწოდებიდან წარმოშობილი სავაჭრო მოთხოვნა არ ერიცხება, ვინაიდან მიწოდება ხდება ეტაპობრივად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად, რასაც მიწოდების დღესვე ანაზღაურებს დამკვეთი.

ფილიალის საბალანსო მონაცემებში აღირიცხება მისაღები მომსახურეობისათვის გადასხილი ანავსისაგან წარმოშობილი მოთხოვნა.

სავაჭრო ვალდებულებები

ფილიალი მომწოდებლებთან ურთიერთობისას ახორციელებს როგორც ავანსად გადახდილი თანხით საქონლის შესყიდვას ასევე სტანდარტული საკრედიტო პირობებით და ვალდებულებას პროცენტი არ ერიცხება. იგი შემდგომი გადახდის პირობით მოწოდებული მასალის ღირებულებას იხდის პერიოდულად და ანულებს მას.

2. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

საანგარიშგებო პერიოდში ფილიალი არ სარგებლობს საფინანსო ორგანიზაციის ან ბანკის მიერ გაცემული სასესხო ვალდებულებით.

სასესხო ვალდებულება არ ერიცხება. იგი პერიოდულად (საჭიროების მიხედვით) იყენებს მოკლევადიან საბანკო საგარანტიო წერილს რაზედაც დარიცხული ყველა დანახარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გამოყენებულ იქნა.

3. ამონაგები


ამონაგები გაწეული მომსახურეობიდან მაშინ აღიარდება როდესაც დამკვეთს მიეწოდება მიღება ჩაბარების აქტი და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ ფაქტურა. ანგარიშსწორება მომხმარებლებთან ხდება როგორც მიწოდებისთანავე გადახდით, ასევე ავანსად მიღებული თანხის გაქვითვის პრინციპით.

4. მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძვნება წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას. ფილიალს 2023 წლის საანგარიშგებო პერიოდში მოგების გადასახადით დასაბეგრი ბრუნვა, არ უფიქსირდება

5. სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული მოგება/ზარალი

2024 წელს ფულადი მუხლების გადაფასებით მიღებულმა ნეტო ზარალმა შეადგინა 2.909 ლარი.



მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

	31/12/2024	31/12/2023
ნეტო ამონაგები	1317925	3920540
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	1317925	3920540
გაყიდვების თვითღირებულება	-1063861	-2312782
საერთო მოგება	254064	1607758
სხვა საოპერაციო შემოსავალი	21146	51959
დასაქმებულთა ანაზღაურება	-965624	-1458845
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-353240	-421167
საპროცენტო ხარჯი	-7968	-48876
იჯარის ხარჯი	-19522	-27084
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-2262032	-662185
სულ საოპერაციო ხარჯები	-3587240	-2566198
საოპერაციო მოგება	-3333176	-958440
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	-213780	-80847
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-3546956	-1039287
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-3546956	-1039287
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	909379	739433
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')		
	2261049	1209233
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	-376528	909379

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31/12/2024	31/12/2023
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	0	513247
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	0	0
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	3142	30009
მარაგები	84030	2525
მზა პროდუქცია	0	0
სხვა	84030	2525
ძირითადი საშუალებები	1906000	2230479
ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	2157840	1362098
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	17750	7950
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	493197
სხვა ვალდებულებები	194110	3636
სულ ვალდებულებები	2369700	1866881
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	2261049	2265223
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-2637577	-1355844
სულ საკუთარი კაპიტალი	-376528	909379
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1993172	2776260

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტების მოძრაობა

	31/12/2024	31/12/2023
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	688352	2512281
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	127174	1441688
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-1328773	-4208054
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-513247	-254085
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	513247	767332
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	0	513247


საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების შემდგომ კომპანია ცდილობს მის წინაშე წამოჭრილი მნიშვნელოვანი ფინანსური კრიზისის დაძლევისა და მდგომარეობის გამოსწორებას.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია დირექტორის საბაჰათინ ალი ერგინის მიერ 2025 წლის 28 სექტემბერს.

დირექტორი: Mr. Sabahattin Ali ERGIN



ანგარიშსწორების შევსებაზე პასუხისმგებელი პირი:

ბუღალტერი: მარინე წითელაძე-მოსიძე